

GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია


საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2018 წლის ანგარიში



შინაარსი

1. პროექტები	2
2. სტანდარტიზაცია.....	3-6
3. მეტროლოგია.....	7-14
4. საერთაშორისო აქტივობები	15-16
5. ღონისძიებები.....	17-19





1. პროექტები

- სააგენტოში მიმდინარეობს ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) მესამე ეტაპის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც:
ე.წ. „Framework Contract“ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) მხარდაჭერა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემებში“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემების ძირითადი პროცესების იდენტიფიცირება, განხორციელდა პროცესების დეტალური სქემების შემუშავება და შეთანხმება, მიმდინარეობს საინფორმაციო სისტემის სატესტო რეჟიმში გაშვება.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარების მიღწევის/შენარჩუნების მიზნით მიმდინარე წლის 1-3 ოქტომბერს ჩატარდა შეფასება მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის თანასწორ ექსპერტთა მიერ. აღნიშნული შეფასება ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის (COOMET) წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ინსტიტუტების ექსპერტების მიერ, შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა გერმანიიდან, ლიეტუვიდან, ბელორუსიდან. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურმა ლაბორატორიებმა წარმატებით გაიარეს საერთაშორისო შეფასება და საერთაშორისო აღიარება მიღწეულ იქნა შემდეგ მიმართულებებში: გეომეტრია (სიგრძის გაზომვები), მასა, მცირე მოცულობა, წნევა, ტემპერატურა და ტენიანობა, ელექტროგაზომვები, მაიონიზებული გამოსხივება.
- ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „development and maintenance of the Eurocode's design system in Georgia“ ფარგლებში, მიმდინარე წლის 20-24 აგვისტოს განხორციელდა სააგენტოს სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) სამუშაო ჯგუფის „ევროკოდები“ წევრების ვიზიტი ლატვიაში, ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით. აღნიშნული პროექტი შემუშავდა სააგენტოსა და ლატვიის სტანდარტების ეროვნული ორგანოს (LVS) მიერ. ამავე პროექტის ფარგლებში 2018 წლის 7 ნოემბერს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ (GEOSTM) ლატვიის სტანდარტების ორგანოსთან (LVS) ერთად და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მხარდაჭერით გამართა კონფერენცია „საქართველოში ევროკოდების დანერგვის შესახებ“, ამ სფეროში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.





2. სტანდარტიზაცია

- საერთაშორისო/ევროპული სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დამტკიცდა 2018 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამა და ტექნიკური კომიტეტების გადაწყვეტილების საფუძველზე განისაზღვრა 2018 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე „იდენტური თარგმნის“ მეთოდით მისაღები სტანდარტების სია. მიმდინარეობს სტანდარტის მიღებისა და თარგმნის პროცედურები აღნიშნული პროგრამის შესაბამისად.
- სააგენტოს მეშვეობის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის წარმომადგენელი დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთო სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN) სამუშაო ჯგუფში „CEN/TC 224/WG 19-Breeder Documents“ საქმიანობაში.
- საქართველოში ევროკოდების დანერგვის ხელშეწყობისათვის სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის და სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) წევრები ჩაერთო ევროკომისიის ერთობლივ სამეცნიერო ცენტრის (JRC) მონაცემთა ბაზაში.ტკ 1 „ელექტროტექნიკური კომიტეტი“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 2) „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ მიერ საქართველოს სტანდარტად მიღებულია შემდეგი 10 სტანდარტი:
 - ენ 14232:2000 „შესაფუთი მასალა - მოთხოვნები შესაფუთი მასალის მიმართ, რომლის აღდგენა შესაძლებელია კომპოსტირებითა და ბიოდაშლით - გამოცდის სქემა და შეფუთვის საბოლოო შეფასების კრიტერიუმები“;
 - ისო/იეკ 17011:2015 „შესაბამისობის შეფასება-საერთო მოთხოვნები აკრედიტაციის ორგანოებისადმი, რომლებიც ატარებენ შესაბამისობის შეფასების ორგანოების აკრედიტაციას“;
 - ისო/იეკ 17021-2:2016 „შესაბამისობის შეფასება-მოთხოვნები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ატარებენ მენეჯმენტის სისტემის აუდიტსა და სერტიფიცირებას. (ნაწილები - 2; 3; 4; 9; 10)
 - ისო/იეკ 17025:2017 „საერთო მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიის კომპეტენტურობისადმი“;
 - ისო 50001:2011 „ენერჯის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები და სახელმძღვანელო მითითებები“;
 - ისო 50003:2014 „ენერჯის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები და სახელმძღვანელო მითითებები“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 3) “სასურსათო კომიტეტი” მიერ მიღებულია საქართველოს სტანდარტად 9 სტანდარტი:
 - ისო 12966-1:2014 „ცხოველური და მცენარეული ცხიმები და ზეთები - მეთილის ეთერების ცხიმოვანი მჟავის გაზური ქრომატოგრაფია“,





- ისო 13884:2003 „ცხოველური და მცენარეული ცხიმები და ზეთები - მცენარეული ცხიმებისა და ტრანს იზომერების განსაზღვრა ინფრაწითელი სპექტროსკოპიით“,
 - ისო 18743:2015 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - Trichinella-ს მატლის აღმოჩენა ხორცში გამოხარშვის ხელოვნური მეთოდით“,
 - ისო 18744:2016 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია- Cryptosporidium-ის და Giardia-ს აღმოჩენა და გადათვლა ახალ ფოთლოვან ბოსტნულში და კენკრაში“.
 - ისო 6887-2:2017 „სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია - საცდელი ნიმუშების, საწყისი წონაკის და ათჯერადი განზავებების მომზადება მიკრობიოლოგიური კვლევებისათვის - (ნაწილები: - 2; 3; 4);
 - ისო 1737:2008 „შედეგებული რძე და შედეგებული რძე შაქრით - ცხიმინაობის განსაზღვრა -გრავიმეტრული მეთოდი (რეფერენს მეთოდი)“;
 - ისო 8262-3:2005 „რძის პროდუქტები და რძეზე დაფუძნებული პროდუქტები- ცხიმინაობის განსაზღვრა გრავიმეტრული მეთოდით Weibull-Berntrop (რეფერენს მეთოდი) - ნაწილი 3: განსაკუთრებული შემთხვევები“.
 - სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტს (ტკ 4) „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ მიერ მიღებულია საქართველოს სტანდარტად 2 სტანდარტი:
 - სსტ ისო 14785: 2014/2018 „ტურისტული საინფორმაციო სამსახური - ტურისტული საინფორმაციო და მიღების მომსახურებები - მოთხოვნები“;
 - სსტ ისო/დის „21401:2017/2018 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები - საცხოვრებლის მოწყობის მდგრადი მენეჯმენტის სისტემა - მოთხოვნები“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“ მიერ მიღებულია საქართველოს სტანდარტად 7 სტანდარტი:
 - ენ 12390-1:2012 „გამყარებული ბეტონის გამოცდა - (ნაწილები 1; 2; 3; 4; 5; 6;)
 - ენ 13362:2018 „გეოსინთეზური ბარიერები-მახასიათებლებთან დაკავშირებული მოთხოვნები არხების მშენებლობაში გამოყენებისთვის“.
 - სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტს (ტკ 6) „ბუნებრივი გაზი“ წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა 2 სტანდარტი:
 - ენ 1918-2:2016 „გაზის ინფრასტრუქტურა-მიწისქვეშა გაზსაცავი-ნაწილი 2: ფუნქციური რეკომენდაციები ნავთობისა და გაზის საბადოებში არსებული საცავებისთვის“;
 - ენ 1775:2007 „გაზომარაგება-გაზსადენები შენობებში. მაქსიმალური მუშა წნევა 5 ბარზე ნაკლები ან ტოლი. ფუნქციური რეკომენდაციები“.






- 2018 წლის 12 თვის განმავლობაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 3 ნოტიფიკაცია, საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ.
- 2018 წლის 12 თვის განმავლობაში საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ საქართველოში მოქმედ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 185 ნოტიფიკაცია.

2018 წლის 12 თვის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 1946 სტანდარტი:

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი)-104;
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი)- 1767;
- სსტ ისო (საქართველოს სტანდარტი, ქართულენოვანი ვერსია)- 20;
- სსტ ენ (საქართველოს სტანდარტი, ქართულენოვანი ვერსია) -10;
- ეტსი ენ (ევროპული სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის სტანდარტი)- 40;
- სსტ იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) – 4;
- სსტ ბს (დიდი ბრიტანეთის სტანდარტი) -1.

დიაგრამა 1.






2018 წელს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 367 სტანდარტი, მათ შორის(იხ. დიაგრამა 2): :

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) -148;
- გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) -14;
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 91;
- სსტ იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) – 3;
- სსტ (საქართველოს სტანდარტი) -111.

დიაგრამა 1.

სულ 367





3. მეტროლოგია

- მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირებისა და ეფექტურობის ყოველწლიური ანალიზი/მიმოხილვა მენეჯმენტის მხრიდან; ასევე ჩატარდა განყოფილებების შიდა აუდიტი წინასწარ დამტკიცებული აუდიტის გეგმის შესაბამისად;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში მიმდინარეობს ეტალონების მზადყოფნასთან და შენახვასთან დაკავშირებული მუდმივი მეტროლოგიური სამუშაოები, მათ შორის ეტალონებისა და სხვა გაზომვის საშუალებების დაკალიბრება, მათი შუალედური შემოწმებები, საერთაშორისო და ორმხრივი შედარებებში მონაწილეობა.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ უკვე აღიარებულ სფეროებში (ელექტრობა, მასა, ტემპერატურა) საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და დიაპაზონის გაზრდის მიზნით, ასევე ახალ სფეროებში (ტენიანობა, მცირე მოცულობა, სიგრძე, რადიაციული გაზომვები, წნევა) აღიარების მოპოვების მიზნით მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები:
 - პირველ ეტაპი: მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET -ის ხარისხის ფორუმზე მოხდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პრეზენტაცია - მომზადდა და COOMET -ის ხარისხის კომიტეტის წარდგინა წერილობითი პრეზენტაცია, ასევე ა.წ. 30-31 იანვარს, გერმანიის მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში PTB ჩატარდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზეპირი პრეზენტაცია COOMET -ის ხარისხის ფორუმის ფარგლებში.
 - მეორე ეტაპი: მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის თანასწორ ექსპერტთა მიერ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების შემოწმება ჩატარდა მიმდინარე წლის 1-3 ოქტომბერს.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონებისა და სხვა გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნული მოწყობილობები დაკალიბრდა შემდეგი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებში - ჩეხეთი, გერმანია, ბელორუსი და უკრაინა, როგორც სააგენტოს სახსრებით ასევე ტვინინგ პროექტის ფარგლებში.
- სააგენტოს ეტალონური განყოფილებები მონაწილეობს საერთაშორისო შედარებებში შემდეგი მიმართულებებით: ტემპერატურა, ტენიანობა, მცირე მოცულობა, ტენიანობა, სიგრძე და წნევა.





- დასრულდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტაციის აქტუალიზაცია როგორც მენეჯმენტის ნაწილში ასევე ტექნიკური მოთხოვნების კუთხით ლაბორატორიული პროცედურებში. შემდგომი ეტაპი დოკუმენტაციის გადახედვის გაგრძელება თანასწორ ექსპერტთა შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის თანასწორ ექსპერტთა შეფასების გზით საერთაშორისო აღიარების მიღწევისათვის მომზადების მიზნით ეტალონურ ლაბორატორიებში უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარდა წინასწარი შეფასება:
 - 12-14 სექტემბერს მცირე მოცულობის, სიგრძის და ტენიანობის განყოფილებაში წინასწარი შემოწმება ჩატარა გერმანიის საკალიბრო ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ოლაფ შნელე-ვერნერმა. შემოწმების ფარგლებში განხილულ იქნა დაკალიბრების პროცედურები, განყოფილებების დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობები, ასევე მომზადდა რეკომენდაციები გაუმჯობესებისათვის თანასწორ ექსპერტთა შეფასების წარმატებით გავლის მიზნით.
 - ამავე მიზნით 17-20 სექტემბერს ტვინინგ პროექტის ფარგლებში ექსპერტების ჯგუფის მიერ (წამყვანი აუდიტორი და ტექნიკური ექსპერტები) ასევე ჩატარდა წინასწარი შემოწმება ელექტროგაზომვების, წნევის, სიგრძის, მცირე მოცულობის, ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონურ განყოფილებებში. წინასწარ შეფასებაში მონაწილეობდნენ ექსპერტების დანიის, იტალიის, სლოვაკეთის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტებიდან.
- სააგენტოს მიერ მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო აღიარების მიღწევის მიზნით შეძენილ იქნა აღჭურვილობა ელექტრობის ეტალონური ლაბორატორიისთვის. ასევე მიმდინარე ტვინინგ პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ეტალონური თერმოპროგრამირებადი, რომელიც ამავე პროექტის ფარგლებში დაკალიბრდა დიდი ბრიტანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში. აღნიშნული ეტალონური აპარატურით ტემპერატურისა და ტენიანობის განყოფილება მონაწილეობს ორმხრივ დამატებით შედარებაში ტენიანობის სფეროში. სააგენტოს მიერ შეძენილ იქნა გარემო პირობების მონიტორინგის გამზომი საშუალებები ტემპერატურისა და ტენიანობის, გეომეტრიული გაზომვების, ფიზ-ქიმიური გაზომვების, რადიაციული გაზომვების, ელექტრობის, მასის, მექანიკისა და რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილებისათვის. ასევე შეძენილ იქნა პრეციზიული ლაბორატორიული სასწორები მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული მეტროლოგიისა და ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონური განყოფილებებისათვის. მექანიკის ეტალონური განყოფილების საჭიროებისთვის შეძენილ იქნა შმიდტის ჩაქუჩის დასაკალიბრებელი გრდემლი. გეომეტრიული გაზომვების ლაბორატორიისათვის შეძენილ იქნა სიგრძის ბრტყელპარალელური კიდურა საზომების ეტალონური ნაკრები დაშვებათა კლასი „0“; (0,5 – 100) მმ, 122 საზომი; ელექტრონული საზომი ხელსაწყო „Millimar 1240“ სიგრძის კიდურა საზომების კომპარატორისათვის; ნიველირი ოპტიკური





კომპენსაციური „QEO FAL-32“ სამფეხით; საზომი ლენტი (რულეტი), (0 - 20) მ. შესყიდვის პროცესი გაგრძელდება თანასწორ ექსპერტთა შემოწმების შედეგებიდან და მათი რეკომენდაციებიდან/დაკვირვებებიდან გამომდინარე.

- მეტროლოგიის ინსტიტუტის გეომეტრიული ეტალონური განყოფილების მიერ შემუშავებულ იქნა დაკალიბრების პროცედურა 01LP-5.4-01 „100 მმ-მდე ნომინალური სიგრძის ბრტყელ პარალელური კიდურა საზომების დაკალიბრების პროცედურა“ ახალი ვერსია (03) განყოფილებაში მიღებული ახალი ეტალონური გაზომვის საშუალებების გათვალისწინებით, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ასევე შემუშავებული იქნა დაკალიბრების პროცედურა 01LP-5.4-22 „სიგრძის კიდურა საზომების კომპარატორის დაკალიბრების პროცედურა“, ასევე ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნული განახლებული/ახალი პროცედურების საფუძველზე მოხდა განყოფილების დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერების მომზადება და საერთაშორისო აღიარებისათვის წარდგენა.
- პერმანენტულად მიმდინარეობს განყოფილების ეტალონების მოდერნიზების სამუშაოები: საგენტოს შენობის მე-3 სართულის დერეფანში დამონტაჟდა აღჭურვილობა ნიველირების დასაკალიბრებელი პოლიგონის მოსაწყობად 60 მეტრი საზომი ბაზით; მოდერნიზებულ იქნა ლაზერული მანძილმზომების დასაკალიბრებელი სამუშაო ადგილი, რის შედეგად საკონტროლო ბაზის გაზომვის დიაპაზონი გაიზარდა (0-10) მ-დან (0-20) მ-დე, რამაც გაზარდა მანძილმზომების დაკალიბრების შედეგების საიმედოობა.
- განყოფილება მონაწილეობს COOMET-ის თემაში № 765-UA/18: „სიგრძის კიდურა საზომების ეტალონების ორმხრივი შედარება სიგრძეთა დიაპაზონში 0,5 მმ-დან 100 მმ-მდე“ - პარტნიორები: ННЦ „Институт метрологии“, უკრაინა, ქ. ხარკოვი და GEOSTM, საქართველო, ქ. თბილისი. 2018 წლის 20-21 დეკემბერს აღნიშნული შედარების ფარგლებს განყოფილებაში ჩატარდა გაზომვები შედარების სამ ეტალონზე (1,28 მმ; 70,0 მმ და 100,0 მმ) რომლების ტრანსპორტირება GEOSTM-ში განახორციელა ხარკოვის მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა. ამჟამად ხორციელდება გაზომვების მიღებული ექსპერიმენტალური შედეგების დამუშავება, რომლის დასრულების შემდეგ გაფორმდება ორმხრივი შედარების შესაბამისი ოქმი და გაზომვების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში გადაეგზავნება იგი ხარკოვის მეტროლოგიის ინსტიტუტს საბოლოო შეფასებისათვის.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილება ემზადება ტემპერატურის სფეროში საერთაშორისო აღიარების დადასტურებისა და არსებული დიაპაზონის გაფართოებისათვის, ასევე აღიარების მიღწევისათვის ახალი მიმართულებით - ტენიანობის გაზომვები. აღნიშნულ პროცესში განყოფილებაში კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გაწევს





მიზნით ტვინინგ პროექტის ფარგლებში იმყოფებოდნენ პოლონეთის მეტროლოგიის ინსტიტუტის ექსპერტები როგორც ტემპერატურული გაზომვების (14 ÷ 18 მაისი) ასევე ტენიანობის გაზომვების სფეროში (16 ÷ 20 აპრილი; 25 ÷ 28 ივნისი). ექსპერტებმა განყოფილების სპეციალისტებთან ერთად განიხილეს დაკალიბრების პროცედურები, გაზომვის და დადაკალიბრების შესაძლებლობები CMC ჩანაწერები. ასევე გამოცდილების გაზიარების მიზნით განყოფილების თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ 2018 წლის 9 ÷ 13 ივლისს გერმანიის გაზომვებისა და დაკალიბრების ცენტრში (ZMK), ქ. ვოლფენი, ხოლო ა.წ. 22 ÷ 24 აგვისტოს განყოფილების თანამშრომლები იმყოფებოდნენ პოლონეთის გაზომვების ცენტრალურ ოფისში (GUM).

- ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილება რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო შედარებებსი ტემპერატურული გაზომვების მიმართულებით, ხოლო 2018 წლიდან ახალი მიართულებით - ტენიანობის გაზომვები. განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ორმხრივ შედარებაში დიდი ბრიტანეთის მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტთან NPL COOMET-ის თემა №768/GE/18 „ფარდობითი ტენიანობის გამზომი ხელსაწყოების ურთიერთშედარება (30 ÷ 90)% დიაპაზონში, 23°C ტემპერატურაზე“. ამავე სფეროში პილოტურ შედარებებში გერმანიის აკრედიტებულ საკალობრო ცენტრთან ZMK.
- მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული მეტროლოგიის ეტალონურ განყოფილებაში 27-28 თებერვალს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ლიცენზიების შესაბამისად ჩატარდა გეგმიური აუდიტი (განყოფილების მუშაობა შეესაბამება ლიცენზიის მოთხოვნებს). ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ლიცენზიის მოთხოვნების შესაბამისად განყოფილება პერმანენტულად (15.05-მდე და 15.12-მდე) ატარებს წყაროების ფიზიკური ინვენტარიზაციას - გადამოწმდა ბირთვული და რადიაციული მასალების რაოდენობა და მათი ადგილმდებარეობა, გაიგზავნა შესაბამისი ინფორმაცია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოში.
- განყოფილების წარმომადგენელმა ა.წ. 18-20 ივლისს მონაწილეობა მიიღო აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტის და სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ორგანიზებით სამუშაო შეხვედრა თემაზე „ ფიზიკური დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ , რის საფუძველზეც გადაეცა სერტიფიკატი „რადიექტიური წყაროების ფიზიკური უსაფრთხოება და დაცვის მენეჯმენტი“.
- რადიაციული მეტროლოგიის ეტალონურ განყოფილებაში ტვინინგის პროექტის ფარგლებში ა.წ. 21-25 მაისს და 20-24 აგვისტოსს იმყოფებოდა იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის ექსპერტი, რომელმაც განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად განიხილა განყოფილების შესაძლებლობები საერთაშორისო აღიარებასთან დკავშირებით, ასევე მომზადდა რეკომენდაციები დაკალიბრების პროცედურებთან, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სხვა





დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. ექსპერტის მიერ გადახედილ იქნა განყოფილების მიერ მომზადებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერები. ამავე პროექტის ფარგლებში განყოფილების 2 თანამშრომელი გამოცდილების გაზირების მიზნით იმყოფებოდა იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტში, დოზიმეტრულ ლაბორატორიაში ა.წ. 10-12 სექტემბერს.

- რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილების წნევის ლაბორატორიაში ტვინინგის პროექტის ფარგლებში 30 ივლისიდან - 3 აგვისტომდე იმყოფებოდა პოლონელი ექსპერტი. ვიზიტის ფარგლებში მოხდა წნევის გაზომვების ლაბორატორიის დოკუმენტაციის განხილვა და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები ლაბორატორიის დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერებთან დაკავშირებით. ისათვის. წნევის ლაბორატორიის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის 1.6 „მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები“ სხდომაში, რომელიც გაიმართა 27-30 აგვისტოს ბოსნია ჰერცეგოვინაში.
- მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკური განყოფილების აკუსტიკის ლაბორატორიაში ტვინინგ პროექტის ფარგლებში იმყოფებოდა დანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის ექსპერტი, ხოლო 29.10-02.11.2018 პერიოდში ექსპერტი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტიდან. შეფასებული იქნა ლაბორატორიის შესაძლებლობები გაზომვის საშუალებების არსებული ბაზის გათვალისწინებით საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობის მისაღებად. ლაბორატორიის თანამშრომლებისათვის გაწეული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები დაკალიბრების პროცედურების შემუშავების საკითხებში, ასევე აღჭურვილობის ბაზის შემდგომი განვითარების მიზნით.
- ამავე განყოფილების ოპტიკის განყოფილებაში ა.წ. 05-09 ოქტომბერს იმყოფებოდა დანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის ექსპერტი ფოტომეტრია-რადიომეტრიის მიმართულებით. შეფასებული იქნა ჩლაბორატორიის შესაძლებლობები გამზომ საშუალებათა არსებული ბაზის გათვალისწინებით საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობის მისაღებად. ლაბორატორიის თანამშრომლებისათვის გაწეული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, დაკალიბრების პროცედურებში შესწორებების შესატანად და ახალი ხელსაწყოების შესამენად;
- რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკური განყოფილების მიერ გადამუშავდა 2 არსებული დაკალიბრების პროცედურა და შემუშავდა 1 ახალი პროცედურა.
- რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის „ფოტომეტრია და რადიომეტრია“ სხდომაში, რომელიც გაიმართა ა.წ. 03-08 სექტემბერს.





- მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ - ქიმიური გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში იანვრის თვეში იმყოფებოდა დანიის ეროვნული მეტროლოგიური ინსტიტუტის ექსპერტი. ჩაატარდა ტრენინგი და განხილულ იქნა კონდუქტომეტრისა და pH-მეტრის ეროვნული ეტალონების მოდერნიზაციისა და ეტალონური ბაზის განახლებასთან დაკავშირებული საკითხები.
- ფიზ - ქიმიური გაზომვების ეტალონურმა განყოფილებამ მიიღო COOMET-ის საერთაშორისო შედარებაში თემა 655/RU/15 „პილოტური შედარებები ფოსფატის ბუფერის წყალბადის მაჩვენებლის - 7,0 განსაზღვრა“ შედეგების ანალიზში აღნიშნულია პირველადი მეთოდით განსაზღვრის სწორი მოდელის შერჩევის და გაზომვების ჩამტარებელი სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაცია, რაც ასახულია გაზომვის შედეგის და აგრეთვე განუსაზღვრელობის ანგარიშში.
- ფიზ - ქიმიური გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში მიმდინარეობს 2 პირველადი სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონის მოდერნიზაციის პროცესი. ეს პირველადი ეტალონებია: pH ერთეულის სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონი და ელექტროლიტთა ხსნარების ხვედრითი ელექტრული გამტარებლობის სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონი.
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტრობის ეტალონური განყოფილება მონაწილეობს ეტალონების შემდეგ საერთაშორისო შედარებებში:
- COOMET-ის პროექტი #624/GE/-a13 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM-S19) „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებები“. აღნიშნულ შედარებებში GEOSTM-ის ელექტრობის ეტალონური განყოფილება ასრულებს წამყვანი (პილოტი) ლაბორატორიის როლს. მონაწილეობს 11 ქვეყნის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტი: GEOSTM (Georgia); VNIIM (Russia); BELGIM (Belarus); AZSTAND (Azerbaijan); IMBIH (Bosnia and Herzegovina); INIMET (Cuba); KazInMetr (Kazakhstan); VMT/FTMC (Lithuania); INM (Republic Moldova); MASM (Mongolia); NSC “Institute of Metrology” (Kharkiv, Ukraine). გაზომვები უკვე ჩატარდა 10 ეროვნულ მეტროლოგიის ინსტიტუტში. ამჟამად შედარების ეტალონი იმყოფება VNIIM-ში (რუსეთი). შედარებების სტატუსი - მიმდინარე.
- COOMET-ის პროექტი #681/RU/16 დენის ტრანსფორმატორების გაზომვების დამატებითი შედარებები. პილოტი - FGUP „VNIIM“ (რუსეთი, ეკატერინბურგი), მონაწილეები: CMI (ჩეხეთი), UMTS (უკრაინა, კიევი), Kazinmetr (ყაზახეთი). სტატუსი - მიმდინარე.
- ელექტრობის ეტალონური განყოფილების ორგანიზებით საქართველოში არსებული აკრედიტებული ლაბორატორიებისათვის ჩატარდა ლაბორატორიათაშორისი შედარებები „ვოლტმეტრის დაკალიბრება უშუალო შედარების მეთოდით ცვლადი ძაბვის (0÷500) ვ დიაპაზონში“. შედარებებში მონაწილეობდა სამი ორგანიზაციის ლაბორატორია (საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია (GIEC),





შ.პ.ს. "საქართველოს მეტეოლოგიის ცენტრი" და შ.პ.ს. "მეტეოლოგი"), პილოტი-ლაბორატორიის ფუნქციას ასრულებდა სააგენტოს მეტეოლოგიის ინსტიტუტის ელექტრობის ეტალონური განყოფილება. შედარებები დასრულებულია და მომზადებულია საბოლოო ანგარიში.

- ელექტრობის ეტალონური განყოფილების თანამშრომელი 2018 წლის 6-18 აგვისტოს იმყოფებოდა სასწავლო ვიზიტით გერმანიის მეტეოლოგიის ინსტიტუტში PTB. 2-კვირიანი სწავლება მიძღვნილი იყო ახალი ხელსაწყოების, კერძოდ მაღალი წინაღობის ხლსაწყების დაკალიბრები, ასევე საერთაშორისო აღიარებისათვის გაყოფილების მომზადების საკითხებზე.
- 2018 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებული და დამტკიცებულია 11 ერთეული გაზომვის საშუალების ტიპი:
 - Brava/Punto და Brava/Idea მოდელების თხევადი აირის დისპენსერების, ფირმა „Muchendislik Sanayi ve Tcaret A.S.“ (თურქეთი);
 - Promass 100 F/E/I/P/S, 200 F/E, 830/X, 840/X, LPGmass მოდელების მასური ხარჯზომების, ფირმა „Endress+Hauser Flowtec AG“ (შვეიცარია), შპს „გია კავკასია ლოგისტიკა“;
 - TM-R, TME-R, TMU-R მასური ხარჯზომების, ფირმა „Heinrich Messtechnik GmbH“ (გერმანია), შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“;
 - შპს „ТЕХНО ПРОЕКТ“ (რუსეთის ფედერაცია) მიერ წარმოებული Y3CF-01 მოდელის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გათხევადებული აირით გასამართი დანადგარები
 - ფირმა „Cameron“ (დიდი ბრიტანეთი) მიერ წარმოებული Nuflo/Barton ხარჯის ტურბინული გარდამქმნელები.
 - ფირმა „Diehl Metering GmbH“ (გერმანია) -ს მიერ წარმოებული WP ცივი და ცხელი წყლის ტურბინული მრიცხველები.
 - შპს „ДЮКС“ (რუსეთის ფედერაცია) -ს მიერ წარმოებული ЭКО НОМ СВ-15 ცივი და ცხელი წყლის უნივერსალური მრიცხველები.
 - ფირმა „Flussiggas-Anlagen GmbH“ (გერმანია) -ს მიერ წარმოებული FAS 110, 120, 140, 210, 220, 230, 240, 250, 420, 440 და Zapfasaule მოდელების თხევადი აირის დისპენსერები.
 - ფირმა „SGM Lektra s.r.l“ (იტალია)-ს მიერ წარმოებული RPMAG (DN10, DN15, DN20, DN25, DN32, DN40, DN50, DN65, DN80, DN100, DN125, DN150, DN200 და DN250) წყლის ელექტრომაგნიტური ხარჯზომები.






- შპს „НПК „ИНКОТЕКС“ (რუსეთის ფედერაცია) მიერ წარმოებული Меркурий 206 ელექტრული ენერჯის სტატისტიკური ერთეულის მრიცხველები.
- შპს „Элегант“ (რუსეთის ფედერაცია) მიერ წარმოებული СВД, СВУ წყლის მრიცხველები.
-

2018 წლის 12 თვის მდგომარეობით განხორციელდა 220846 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება, მათ შორის (იხ. დიაგრამა 3):

- ელექტრომრიცხველები - 1513 ცალი;
- გაზის მრიცხველები - 150503 ცალი;
- წყლის მრიცხველები - 68830 ცალი;

დიაგრამა 3.

სულ 220846



4. საერთაშორისო აქტივობები

- მიმდინარე წლის მათში საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და ASTM International შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რაც ხელს შეუწობს საქართველოში მოქმედი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებულ პირებისათვის ASTM-ის 12000-ზე მეტ სტანდარტზე ხელმისაწვდომობას. სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტთან არსებული ტექნიკური კომიტეტების მეშვეობით შესაძლებელია აღნიშნული სტანდარტების მიღება საქართველოს სტანდარტებად "იდენტური თარგმნის" მეთოდით, ასევე, ხელი მოეწერა მემორანდუმის კომერციულ დანართს, რომლის საფუძველზეც სააგენტოს უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე გაავრცელოს ASTM სტანდარტების ინგლისურენოვანი ვერსიები, ელექტრონულ (PDF) ფორმატში.
- ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტში (ETSI) საქართველოს სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოდ სააგენტოს წარმოდგენისათვის დაიწყო მოლაპარაკებები შესაბამისი მემორანდუმის გაფორმებაზე, როგორც ETSI-ის ასევე, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენლებთან. სააგენტოსა და ETSI-ის შორის გაფორმდა მემორანდუმი, რის შედეგადაც სააგენტო ოფიციალურად გახდა ETSI-ის სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანო საქართველოში.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის მიერ მიწვეული იქნენ წამყვან შემფასებლად და ტექნიკურ ექსპერტად COOMET-ის მიერ ორგანიზებულ თანასწორ ექსპერტთა შეფასებაში სტანდარტის ISO/IEC 17025–ის შესაბამისად კუბის მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებში INIMET, CENTIS და CPHR-ში, ქ. ჰავანა, კუბა 2018 წლის 2 - 6 აპრილი.
- საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი არჩეულ იქნა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ვიცე პრეზიდენტად ა.წ. 11-12 აპრილს ბოსნია-ჰერცეგოვინაში. საქართველოს წარმომადგენელი ვიცე პრეზიდენტის საკითხებს განეკუთვნება - COOMET-ის წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების ხარისხის მენეჯმენტის სისტემები, ე.წ. თანასწორ ექსპერტთა შეფასებები.
- სააგენტოს წარმომადგენლები სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საერთაშორისო/რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობაში სააგენტოს ჩართულობის გაზრდის მიზნით და DCFTA TBT მოთხოვნების შესაბამისად საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით მონაწილეობას ღებულობენ აღნიშნული ორგანიზაციების გენერალურ ასამბლეასა და სხვა ღონისძიებებში:
- COOMET-ის გენერალური ასამბლეა, რომელიც გაიმართა ქ. სარაევოში, ბოსნია ჰერცეგოვინაში ა.წ. 10-12 აპრილს.



- ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციების CEN/CENELEC გენერალური ასამბლეა, რომელიც გაიმართა 2018 წლის 20-21 ივნისს, ქ. ბლედში, სლოვენია.
- საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) გენერალურ ასამბლეა (GA), რომელიც ჩატარდა ქ.ჟენევაში მიმდინარე წლის 27-28 სექტემბერს.
- საკანონმდებლო მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის OIML გენერალურ ასამბლეაში/კონფერენციაში, რომელიც გაიმართა გერმანიაში ქ. ჰამბურგი 8-12 ოქტომბერს;
- 29-31 ოქტომბერს სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაზე „Innovative industries for smart growth“ ქ. ვენაში (ავსტრია).
- ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს ისტორიული კონფერენცია/გენერალური ასამბლეა, რომელიც ჩატარდა საფრანგეთში ქ. ვერსალი ა.წ. 13-16 ნოემბერს. აღნიშნულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა ისტორიული გადაწყვეტილება გაზომვის ერთეულების რედეფინიციისა და ყველა ძირითადი ერთეულის განსაზღვრების ფიზიკურ მუდმივასთან დაკავშირების თაობაზე.
- მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის საპრეზიდენტო საბჭოს სხდომა, რომელიც ჩატარდა 26-29 ნოემბერს ბელორუსში ქ. მინსკში. საქართველოს წარმომადგენელი COOMET-ში 2018 წლიდან გახდა COOMET-ის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი და შესაბამისად აღნიშნულ საბჭოს წევრი
- ETSI სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში „ETSI OSA Workshop Open Implementations and Standardization“, რომელიც გაიმართა 2018 წლის 11-13 დეკემბერს, ქ. სოფია ანტიპოლისში, საფრანგეთი.
- ტვინინგ პროექტის ფარგლებში განხორციელდა გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები: როგორც უცხოელი ექსპერტების ვიზიტები განყოფილებაში, ასევე თანამშრომლების სასწავლო ვიზიტები - 2018 წლის 14-18 მაისს გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში იმყოფებოდა ლატვიის მეტროლოგიის ცენტრის ექსპერტი; 09-13 ივლისს განხორციელდა განყოფილების 2 თანამშრომლის სასწავლო ვიზიტი ლატვიის ეროვნულ მეტროლოგიის ცენტრში, ქ. რიგა, ხოლო 2018 წლის 13-17 აგვისტო განყოფილების 1 თანამშრომლის სასწავლო ვიზიტი დანიის ფუნდამენტალური მეტროლოგიის ინსტიტუტში (DFM), ქ. კოპენჰაგენი.





5. ღონისძიებები

□ 2018 წლის 11-12 სექტემბერს საქართველოში ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის TK1.10 „თერმომეტრია და თბოფიზიკა“ სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების ექსპერტებმა შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა, მოლდოვა, სლოვაკეთი, ბელორუსი, რუსეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი. სხდომაზე განხილულ იქნა ტემპერატურის ერთეულის რედეფინიციის მიმართულებით საერთაშორისო დონეზე მიღწეული პროგრესი, ასევე საკვანძო და რეგიონალური შედარებების მდგომარეობა, ახალი შედარებების დაგეგმვა ტენიანობის სფეროში და სხვა საკითხები.

□ 2018 წლის 4-5 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის „ხარისხის ფორუმის“ ტექნიკური კომიტეტის სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების თაობაზე და გაცემულ იქნა აღიარების სერტიფიკატი QSF-R58.

□ 2018 წლის 5 თებერვალს გაიმართა შეხვედრა „სტანდარტიზაციის მარკეტინგის სტრატეგიის შესახებ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს ტექნიკური კომიტეტების („სასურსათო პროდუქცია“; „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“; „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“) წარმომადგენლებმა. აღნიშნული შეხვედრა გაიმართება ევროკავშირის ტვინინგის პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა ევროკავშირი-საქართველოს DCFTA მოთხოვნების შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით“ ფარგლებში და უძღვებოდა დანიის სტანდარტების ორგანოს ექსპერტი.

□ 2018 წლის 22-23 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი „ისო 50001-ენერგო მენეჯმენტის სისტემებზე“, სააგენტოსა და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) ორგანიზებითა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მხარდაჭერით. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ენერგო-ეფექტურობის, ელექტროენერჯის სფეროში მოქმედმა ორგანიზაციებმა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულმა პირებმა.

□ 2018 წლის 14 მარტს გაიმართა საჯარო ლექცია „საერთაშორისო სტანდარტიზაციის სისტემების შესახებ“, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური





უნივერსიტეტის სტუდენტებთან. აღნიშნული ლექცია გაიმართა ევროკავშირის ტვინინგის პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა ევროკავშირი-საქართველოს DCFTA მოთხოვნების შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით“ ფარგლებში, რომელსაც უძღვებოდა ლატვიის სტანდარტების ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

□ სააგენტოში მიმდინარე ტვინინგ პროექტის ფარგლებში 17 მაისს თელავის, 19 ივლისს ზუგდიდის და 18 დეკემბერს რუსთავის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ცნობადობის ამაღლების სემინარები ადგილობრივი მეწარმეებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. სემინარის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დამსწრეებს გააცნეს DCFTA ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში საქართველოს ვალდებულებები და ბენეფიტები, ასევე სააგენტოს მიღწევები, განვითარებული სერვისები, გამოწვევები. სემარზე საკუთარი ქვეყნების გამოცდილება დამსწრეებს გაუზიარეს ლიტველმა, ბრიტანელმა, დანიელმა და ლატვიელმა ექსპერტმა.

□ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ტვინინგ პროექტის ფარგლებში რეგულარულად მონაწილეობენ კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში - სემინარებში, ტრენინგებში, სასწავლო ვიზიტებში, როგორც გაზომვის და დაკალიბრების პრაქტიკულ ასევე, საკანონმდებლო მეტროლოგიის საკითხებზე და ხარისხის მენეჯმენტის სისტემებზე, კერძოდ სტანდარტი ISO/IEC 17025:2017-ის და ISO 17034:2016 ახალი ვერსიების მოთხოვნებზე.

□ მეტროლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების თანამშრომლების თანამშრომლებმა ჩაატარეს ტრენინგი თემაზე: „სასწორებისა და საწონების გამოყენება ლაბორატორიებში - ძირითადი პრინციპები, მომსახურება და ხარისხის უზუნველყოფა“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოქმედმა სხვადასხვა საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების და ინსტიტუტების ექსპერტ-სპეციალისტებმა. ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულ ასევე, პრაქტიკულ ნაწილსაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ტრენინგის მონაწილეებისათვის.

□ ამავე განყოფილების თანამშრომლებს თებერვლის და აგვისტოს თვეში ჩაუტარდათ ტრენინგი მცირე მოცულობის გაზომვის საშუალებების დაკალიბრებაზე ტვინინგ პროექტის ფარგლებში მოწვეული პორტუგალიელი ექსპერტის მიერ. ა.წ. მაისის თვეში განყოფილების თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ პორტუგალიის მეტროლოგიის ინსტიტუტში დგუშიანი გაზომვის საშუალებების დაკალიბრების





საკითხებზე. პორტუგალიის მეტეოლოგიის ინსტიტუტთან დაიგეგმა და ჩატარდა ორმხრივი შედარება მცირე მოცულობის სფეროში, რომელშიც პილოტი ლაბორატორია იქნება სააგენტოს მასის განყოფილება. აღნიშნული შედარების შედეგების საფუძველზე გაკეთდა დაზუსტებული განაცხადი დაკალიბრებისა და გაზომის შესაძლებლობების CMC თაობაზე, დიაპაზონში 1 მკლ ÷ 200 მლ ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM მონაცემთა ბაზაში KCDB.

□ მეტეოლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიის საკალიბრო ლაბორატორიაში (ZMK) COOMET-ის TC 1.6 ტექნიკური კომიტეტის „მცირე მოცულობის“ მუშა ჯგუფის (ხელმძღვანელი ირმა რურუა) ტრენინგში თემებზე: დღეშიანი მოწყობილობების (პიპეტები, დისპენსერები და ა.შ) დაკალიბრება და განუსაზღვრელობის გამოთვლა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ტრენინგი ჩატარა გერმანელმა ექსპერტმა. სემინარზე დაიგეგმა საერთაშორისო შედარება მცირე მოცულობაში, სადაც პილოტი ლაბორატორია იქნება საქართველო. შედარება ჩატარდება დღეშიანი პიპეტებზე – ფიქსირებული და ცვლადი მოცულობებით. გაზომვის დიაპაზონი 10 მკლ ÷ 1000 მკლ.

□ მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების თანამშრომლებმა 27.08.18 – 30.08.18 მონაწილეობა მიიღეს რეგიონალური მეტეოლოგიური ორგანიზაციის COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის შეკრებაზე ბოსნიაში–ჰერცეგოვინაში (ქ. სარაევო). ტექნიკური კომიტეტის შეხვედრაზე საქართველოს მიერ დარეგისტრირდა ორი შედარება მცირე მოცულობის სფეროში:

□ 766/GE/18 დამატებითი შედარება მცირე მოცულობებში, სადაც მონაწილეობას იღებს 10 ლაბორატორია მეტეოლოგიის ეროვნული ინსტიტუტებიდან – პილოტი ლაბორატორია საქართველო;

□ 767/GE/18 ორმხრივი შედარება მცირე მოცულობებში, სადაც მონაწილეობას იღებს GEOSTM (საქართველო) და IPQ (პორტუგალია) – პილოტი ლაბორატორია საქართველო.





GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია



ჩარგლის ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



geostm@geostm.ge

www.geostm.gov.ge